ქალაქი- ურბანული მონსტრი XIX საუკუნის ზოგიერთ მხატვრულ ტექსტში

თამარ გოგოლაძე
გორის სასწავლო უნივერსიტეტი
tamilagogoladze@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2022.777

შესავალი. ცივილიზაციის განვითარების მანძილზე ყოველთვის გამოიყოფოდა ჯერ ციხე-სიმაგრე (შუა საუკუნეებში), შემდგომ უკვე ქალაქი, რომელიც განსხვავდება სოფლისა და მისი მცხოვრებლებისაგან. მაქს ვებერის განმარტებით, „ქალაქი, ჩვენი გაგებით, არის დასახლება, რომელსაც გააჩნია ბაზარი“ (M. Weber, 1994:310- თარგმანი ჩვენია - თ.გ.). ქალაქი წარმოჩინდება შემდგომად, როგორც სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკური სტრუქტურისა სიმბოლო, სადაც ცხოვრობს სხვადასხვა ფენის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანი სამართლებრივი აპარატი მოქმედებს და მისი არქიტექტურაც განსხვავებულია, განკერძოებული, ქუჩებად და უბნებად დაყოფილი. სოფლიდან ჩამოსული ადამიანისათვის, იქნება იგი მაღალი თუ დაბალი წოდებისა, გაურკვევლობასა და შიშს ბადებს. ამდენად ქალაქისათვის მონსტრის სინონიმურობა უცნობი, უცხოს, საშიშის ტოლფასია, რომელიც ზევიდან დაჰყურებს ადამიანს, მისი ენაც კი უცხოა, განსხვავებული, გაუგებარი. ამიტომ იყო, რომ იური ლოტმანმა (ერთმა პირველთაგანმა), რომელმაც მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი სივრცე სემიოტიკური თვალთახედვით განიხილა და გამოკვეთა ის აზრი, რომ ლიტერატურულ ტექსტში ასახული ქალაქი რეალურის მხოლოდ მოდელია, ხოლო მხატვრული და რეალური სივრცეს განსაზღვრავს კულტურული სტერეოტიპი და ტრადიცია.

მიხეილ ბახტინმა დრო და სივრცის ანუ ქრონოტოპის რამდენიმე ფორმაც გამოჰყო. თავად დრო და სივრცე ერთგვარად დახასიათებულია, როგორც ავტორის ესთეტიკური და ფილოსოფიური თვალთახედვის ასახვა.

ქრონოტოპიიდან ქალაქის თემამ თავისი ასახვა ჰპოვა სხვადასხვა უცხოელ ქართველ ავტორთა ნააზრევში (ი. ლოტმანი, მ. ბახტინი , უ. ეკო), ქართველ მკვლევართა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა თანამედროვე ქართულ პროზაში ქალაქის მხატვრული გააზრებისადმი მიძღვნილი მ. კორინთელის სადოქტორო დისერტაცია.

აღნიშნულმა თემამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ, როდესაც განვიხილავდით ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის

შემოქმედებას. ამჯერად, საერთოდ, დავინტერესდით XIX საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრულ პროზაში შერჩევით განგვეხილა ქალაქის, როგორც მონსტრის, თემა, რამაც განსაკუთრებით აქტიური გამოხატულება ჰპოვა ქართველ ხალხოსანთა შემოქმედებაში.

სტატიის მიზანია, წარმოვაჩინოთ, როგორ დაინახა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა მწერლობამ, ქალაქი, რა დატვირთვა მისცა დაპირისპირების სოფელი/ქალაქი და რით იყო გაპირობებული აღნიშნული თემის პოპულარობა.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულ იქნა კომპარატივისტული, ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

ძირითადი ნაწილი. ქალაქი, როგორც სოფლისაგან განსხვავებული დასახლება მთელი მისი მოსახლეობით, წარმოსახვით თუ რეალურ მხატვრულ ასახვაში ძველ ქართულ მწერლობაში ნაკლებად ჩნდება. მისი „გამოჩენა“ ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, როდესაც რეალიზმი, მოგვიანებით კრიტიკული რეალიზმი, ვითარდება. ამ კუთხით დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ პირველად ჩნდება დედაქალაქი - ტფილისი და დაბა სურამი (ციხე-სიმაგრის მშენებლობის პროცესი). ნაწარმოების დროითი ისტორია წინა ეპოქას უკავშირდება, ხოლო ტფილისი წარმოჩინდება როგორც ადგილი, რომელიც უბნებადაა დაყოფილი, რომელშიც მოქმედებენ როგორც ბატონები (მუხრანბატონი), ისე სასულიერო წოდება, შინაყმები, ვაჭრები. ტფილისში შეიძლება თავი შეაფარო როგორც ბატონის ძალადობას გამოქცეულმა ყმამ (ნოდარი და მისი დედა, და), რომელშიც მკითხავი ზის გულთმისნად და სხვათა ბედის გამგებ-განმსაზღვრელად (ვარდუა მკითხავი).

ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ ქალაქი უფრო ფართო საცხოვრისია, ადგილი, სადაც არის ბაზარი, ყიდვა-გაყიდვა, სადაც ერთად ცხოვრობენ ვაჭარი და თავადი, მოხელე-ჩინოვნიკი, მედუქნე-დალაქი, მეწვრილმანე. მთავარი პერსონაჟი ლ. არდაზიანის ნაწარმოებისა აქ ცხოვრობს, აქ გარდაისახება გადანახული ფულის წყალობით დიდვაჭარ სოვდაგარად, აქ ოცნებობს დაუმოყვრდეს თავად ალექსანდრეს, მაღალი ჩინისათვის იბრძოლოს საკუთარი ვაჟის ისაკის დასაწინაურებლად. მაგრამ ქალაქი, რომელიც ასე ახლობელი გახდა სოლომონ ისაკიჩისათვის, თანდათან უცხოვდება ალექსანდრე რაინდიძისათვის. ეს უკანასკნელი ირთავს ცოლად დაბალი შეძლების, მაგრამ თავისივე წოდების ქალს და მიემგზავრება სოფლად. წერილში, რომელსაც იგი სოფლიდან გზავნის, აშკარად მოჩანს ალექსანდრე რაინდიძის აღტაცება სოფლის ყოფით, რასაც „იდილიისაკენ“ სწრაფად მიიწერდნენ ლიტერატურათმცოდნენი ლ. არდაზიანს: „დიაღ, მე ვარ ბედნიერი, მომეტებულს აღარას ვნატრობ! ასე გასინჯეთ, ბუნებაც კი ჩემთან იშვებს... მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, ყოველივე დავაყენე სწორ გზაზე, ყოველივე ჩემს თვალწინ კეთდება და მე არც მეთაკილება... ბუნება უხვად მეწევა. ამიტომ გლეხკაცი მუშაობს გულმონდომებით, სიტკბოებით, ერთგულად. ჩემი შემოსავალი გავრცელდა, და ამ შემოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ქაღალდში არ წავაგებ, ანუ არ გავაბნევ სათამაშო ნივთზე... არა, თქვენ გაქვთ თეატრი, ჩვენი თეატრი ბუნებაა და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენისასა, ყოველი ღამე, თქვენი გამოჯავრებული შევექცევით იარალაშსა, ხან ნარდსა, ხან ასონასსა, ხან წიგნებსა ვკითხულობთ. თქვენ ქალაქში მხოლოდ იარალაშს თამაშობთ, წიგნების კითხვის ხალისი კი ღმერთს არ მოუცია თქვენთვის! სხვა რითიღა

მოგწონთ ქალაქი? აქიმებითა? აფთიაქებითა? ღმერთმა მოგცეთ თქვენ უხვად აქიმებიცა და აფთიაქებიცა, ჩვენ კი დაგვიფაროს იმათგან“ (ლ. არდაზიანი, 1977:119).

სწორედ ლ. არდაზიანთან იკვეთება პირველად დაპირისპირება ქალაქურ და სოფლურ ყოფას შორის, თვით თავადის პირით, რომელიც ქალაქში იყო დაბადებულ-გაზრდილი, იცოდა მისი ავ-კარგი. ეს დაპირისპირება ალექსანდრე რაინდიძისათვის აღმოჩნდა მთავარი, როცა გარკვევით გამოჩნდა ქალაქი, მთელი მისი მცხოვრებლებით, ცხოვრების წესებით. თუმცა რამდენადმე ხელოვნურია თავადის ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ, აშკარაა, მაინც ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი სოფელშიც გადმოუტანია ბედნიერ ცოლ-ქმარს.

რაც შეეხება ქართველი სამოციანელის, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლის ილია ჭავჭავაძის პერსონაჟის თავად ლუარსაბ თათქარიძისათვის, სოფელში დაბადებულ-გაზრდილი კაცისათვის ქალაქი საშიშია. მას ბრმად სწამს, რომ თუ კენჭს არ გადაყლაპავს, ქალაქი დასცდის. ასეთივე გრძნობა აღეძვრება გაოცებულ დარეჯანს: „-ლუარსაბ, ერთი შეხედე, რა ამბავია! ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება, შენდა ღმერთო! სულ ქვითკირის შენობა უნდა იყოს...

- ერთი შეხედე - და, რამდენი საყდრებია!...

- ვიცი, განა არ ვყოფილვარ?
- პირველად, რომ ჩაგიყვანეს, კენჭები არ ჩაგაყლაპეს?
- როგორ არა! სამი ასეთი კენჭი ჩავყლაპე, რომ ძლივს მოვინელე.
- აღარ დაგცადა ქალაქმა?
- არა, რაღას დამცდიდა, რომ კენჭებჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. 1, 1988:104).

აქ მცონარობასთან ერთად ლუარსაბის შიშიც კარგად მოჩანს, შიში ქალაქის წინაშე, სადაც სხვადასხვა ჯადოქრული მოვლენა ხდება, სადაც თავმოჭრილი ადამიანი შეიძლება გაცოცხლდეს და სხვ...

აშკარაა, ი. ჭავჭავაძის პერსონაჟები, რომლებიც ძირითადად სოფლის მცხოვრებნი არიან და თუ მიაშურებენ ქალაქს, ისიც გადაუდებელი, აუცილებელი საქმისათვის, ან თავის გადასარჩენად. ასე იქცევა თავად დათიკოსაგან შეცდენილი პეპიას ქალი თამრო, რომელმაც დედაქალაქს მიაშურა და იქ... „ავლაბრის უნამუსოდ“ იქცა. ან პეტრე, რომელმაც ქალაქში პირველად იხილა ჩამოხრჩობა და იგი თავდაპირველად თამაშად მიიჩნია, შემდეგ კი საშინლად შეწუხდა („სარჩობელაზედ“).

აშკარა დაპირისპირებად გამოჩნდა ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში ქალაქის თემა. თუ გმირისეულის ქალი სალომე სოფლიდან ქალაქში მიდის და იქ მრეცხავობას იწყებს. მაგრამ მალე ხვდება თავის „შეცდომას“: „ახლა კი დარწმუნდა სალომე, რომ აქაც, ამ დიდ ქალაქში, რომელიც მას სიმდიდრის ბუდედ მიაჩნდა, სადაც მას ყველანი ერთობლივ კმაყოფილნი ეგონა, სადაც ყველა ბედნიერი უნდა ყოფილიყო, ამ უფრო ბლომა ხარკსა ჰკრეფავს სიღარიბე, რომ კაცს აბიწიერებს, სულს აფუჭებს, ნამუსს ართმევს, დარწმუნდა რომ სოფლად ეს ხარკი

სიღარიბისა აგრერიგად არა ხვდება ხალხსა, იქ მისი სული შეუმწიკვლელი და შეუბღალველია“ („გმირისეულის ქალი“), (ს. მგალობლიშვილი, 1963:465).

კიდევ უფრო ამწვავებს ქალაქის თემას მწერალი მოთხრობებში „დემეტრეს სახლობა“ და „კიდევ მახეში“. თუ სოფლიდან წამოსული ბიჭი ქალაქში ეუფლება ხარაზობას და ამით ირჩენს თავს, მევახშე ვაჭარ ყაზარ სტეპანიჩისაგან იღებს ყველა ტკივილს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ცოლ-შვილი ყაზარას მსახურებად, მისი ვნებების დასაკმაყოფილებლად განწირულან, რაც სრულდება ნენეს მიერ, შვილის დაცვის მიზნით, ყაზარის მოკვლით. აქაც სასამართლო აპარატი, ჩარჩ-მევახშის „კარიერა“ მწერალის ყალმით წარმოდგენილია ჩამუქებულად, გამწვავებულად. ასეთივეა ბაზრის მედუქნეთა საზარელი რეალიზმი ობოლი ბავშვების მიმართ. მწერლის მთელი ანტიპათია მიმართულია ქალაქის და მის მცხოვრებთა მიმართ. პატარა მოთხრობაში „კიდევ მახეში“ ავტორი ისევ ციხეში „დააბრუნებს“ გამოსწორებისაკენ განწყობილ ყოფილ მეეტლეს, გიგლა ნათელაშვილს.

მონსტრი ქალაქი სწრაფად „ინელებს“ მის ბადეში მოხვედრილთ და დანაშაულისაკენ მიმართულ ადამიანად აქცევს მას. აქ, ბუნებრივია, თავს იჩენს თვით მწერლის, როგორც ხალხოსნის, იდეოლოგია, თუმცა ზოგადი ხაზი მაინც გაგრძელებაა რეალური ქალაქის თემისა, რაც კვლავაც რჩება შემდგომი კვლევის ობიექტად.

დასკვნა. ქალაქის თემა, მისი უარყოფითი გაგებით ქართულ მწერლობაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იჩენს თავს და განსაკუთრებით ღრმავდება ხალხოსან მწერალთა შემოქმედებაში.

ბიბლიოგრაფია:

არდაზიანი ლ. (1977): სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვული. განათლება, თბილისი.

ჭავჭავაძე ი., (1988): თხზულებანი, ტ. II, მეცნიერება, საბჭოთა საქართველო. თბილისი.

მგალობლიშვილი ს. (1963): რჩეული მოთხრობები, თბილისი.

Tamar Gogoladze

Gori Teaching University

City-urvban monster in some XIX century fiction

Abstract

During the development of human civilization, the city was always different from the countryside. The city symbolized the center of statehood, the abode of the merchant bourgeoisie and aristocracy, the common people who were mainly engaged in handicrafts. From the beginning of the XIX century, the flow of free population of the village moves to a city. Thus, the categorical difference between urban and rural populations becomes more apparent, which is reflected in fictional texts. The city appears both real and virtual, which is

"born" in the writer's imagination and is bearing the signs of the creator's worldview. Not infrequently the city emerges as a dangerous place for people from the countryside. So, it emerges as a cold, unbearable, often dangerous, unknowable monster.

The city appears in Georgian literature mainly from the second half of the XIX century ("Surami Fortress" by D. Chonkadze, "Solomon Isakich Mejghanuashvili" by L. Ardaziani, "Is a Man a Human ?!" by I. Chavchavadze etc.).

In contrast, the city is obscured as an urban monster in the works of folk writers ("House of Demeter", "A Heroic Woman" by S. Mgaloblishvili), where a peasant man fleeing from village to town perceives the city with fear and still in his thoughts is striving to the village. A study of this is presented in this given article.
Keywords: city, urban, urban monster in the 19th century, the Narodniks.